

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამა

მუხლი 1. შესავალი

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს სურსათის ბიზნესოპერატორთა სახელმწიფო კონტროლის განხორციელების 2025 წლის სამოქმედო გეგმას.

2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის/სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

მუხლი 2. პროგრამის განხორციელების საფუძვლები

პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია:

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილება, „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება, „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება, „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება, „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №577 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება, „სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262 დადგენილება, „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესები და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №301/ნ ბრძანება, „მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №10 დადგენილება, „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილება, „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი - ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №508 დადგენილება, „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილება, „სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №497 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი - სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №547 დადგენილება, „ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზის და გამოკვლევის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის №195 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულებისა და წონის კონტროლის მიზნით

რაციონის სრულად ჩანაცვლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №370 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ხილის წვენი და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის №536 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი – სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილება, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილება, „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58, "თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილება, „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №714 დადგენილება, „დაფასობული მინერალური წყლისა და წყაროს წყლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №719 დადგენილება, „ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №340 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 მაისის №236 დადგენილება, „ევროკავშირის სურსათის/ცხოველი საკვების სწრაფი განგაშის სისტემაში (RASFF) ინტეგრაციის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან შესახებ წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №578 დადგენილება, „საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გადაზიდვისას გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №325 დადგენილება, „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №442 დადგენილება, „სურსათის ფორტიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №63 დადგენილება, „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №111 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის №674 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – სასურსათო დანიშნულების ცხოველებში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენების ანალიზის მეთოდების განხორციელების, ნიმუშის აღებისა და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 ივნისის N 212 დადგენილება, „ ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველური წარმოშობის სურსათში აკრძალულ/დაუშვებელ ფარმაკოლოგიურად აქტიურ

ნივთიერებებთან (სუბსტანციებთან) დაკავშირებით მოქმედებისათვის საცნობარო მაჩვენებლების (RPA) შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 ივნისის N 225 დადგენილება, „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების განსაზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილება, „ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ივლისი №323 დადგენილება, „ბიოწარმოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისი №198 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №72 დადგენილება, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის №147 დადგენილება; „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №623 დადგენილება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 2 ოქტომბრის №2-751 ბრძანება, „ტექნიკური რეგლამენტი – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის განსაზღვრისათვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშის აღების მეთოდები“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №516 დადგენილება, „სურსათში ნიტრატების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის (გამოკვლევის) მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ "ტექნიკური რეგლამენტის - გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების მიკვლევადობისა და ეტიკეტირების, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან წარმოებული სურსათის/ცხოველის საკვების მიკვლევადობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის №290 დადგენილება, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №548 დადგენილება, "მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №549 დადგენილება, „ახალი გაცივებული და გაყინული ღორის, ცხვრის, თხის ხორცისა და შინაური ფრინველის ხორცისათვის წარმოშობის ადგილისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 ივნისის №326 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათის (სასურსათო) დანამატების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის №360 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი კაკოსა და შოკოლადის პროდუქტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის №146

დადგენილება, „ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №587 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – სურსათში ან სურსათზე გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი შესაბოლოი არომატიზატორების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 სექტემბრის №480 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის, ტემპერატურის მონიტორინგის, სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის ერთიანი მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 ოქტომბრის №606 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე და/ან წარმოებული შესაბოლოი არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად (ავტორიზებული) დაშვებული შესაბოლოი არომატიზატორების პირველადი პროდუქტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 სექტემბრის №479 დადგენილება, „საკვები (სასურსათო) ფერმენტების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს №482 დადგენილება, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 16 ნოემბრის №39-1 ბრძანებით დამტკიცებული „ლაბორატორიული კვლევისთვის საექსპორტო თხილის მაჩვენებლები და ნიმუშის აღების სიხშირე“, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 10 მაისის №30-1 ბრძანებით დამტკიცებული „ლაბორატორიული კვლევისთვის საექსპორტო კაკლისა და ნუშის მაჩვენებლები და ნიმუშის აღების სიხშირე“, “ზორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესი” საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 დეკემბრის №575 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი – ელასტომერისაგან ან რეზინისგან დამზადებული საწოვარასა და მატყუარა საწოვარას N – ნიტროზამინებისა და N – ნიტროზამინების წარმომქმნელი ნივთიერებებისაგან გამოთავისუფლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 აგვისტოს №439 დადგენილება.

მუხლი 3. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია:

ა) ბიზნესოპერატორების მიმართ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ) სურსათის წარმოების, ასევე პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნესოპერატორის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრა;

გ) მანვე/საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების შემცირება;

დ) მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტოს) უფლებამოსილი პირები.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 65-ე - 68 მუხლების ჩათვლით, 73 - 74-ე მუხლების და „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 179⁶ - 179⁹ მუხლების შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს.

მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები

1. ინსპექტირება - გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება

ა) სააგენტოს მიერ ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით განისაზღვრა 2025 წელს ბიზნესოპერატორების მიმართ განსახორციელებელი გეგმური ინსპექტირების რაოდენობა:

$$N = P \times 70$$

სადაც,

N - წლის განმავლობაში განსახორციელებელი გეგმური ინსპექტირების რაოდენობა,

P - უფლებამოსილი პირების რაოდენობა (ფაქტიურად დასაქმებულ ინსპექტორთა რაოდენობა),

რიცხვი 70 - წლის განმავლობაში ერთი უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა;

ბ) ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრისათვის შემუშავებული 3 კრიტერიუმის ქულების დაჯამებით მიღებული შედეგების მიხედვით, ამ პროგრამის დანართი №1.1-ის შესაბამისად;

გ) ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის შედეგად მინიჭებული ქულების შესაბამისად, კლებადობის მიხედვით;

დ) რისკის დონის განსაზღვრის გარეშე, ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება აგრარულ ბაზრებში, საკვებდანამატების მწარმოებლებთან/იმპორტიორებთან,

საბავშვო ბაგა-ბაღებსა და სკოლების კვების ბლოკებში, დაფნის ექსპორტიორებთან, თევზისა და თევზის პროდუქტების მწარმოებლებთან, ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებლებთან, ხორცის რეალიზატორებთან, ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოში, ნაყინის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან, მოხუცთა თავშესაფრებსა და სათნოების სახლების კვების ბლოკებში, ნახევარფაბრიკატების (ნახევრად მზა პროდუქტების) საწარმოებში, დაფასობული სასმელი წყლის საწარმოში, უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელ საწარმოში, რძისა და რძის ნაწარმის მწარმოებელ/გადამამუშავებელ საწარმოებში, შემდეგი სიხშირით:

დ.ა) საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლის კვების ბლოკების, დაფნის ექსპორტიორების, თევზისა და თევზის პროდუქტების საწარმოების (მათ შორის ექსპორტიორები და თევზის შესაბოლი საწარმოები), ხორცისა და ხორცპროდუქტების საწარმოების (მათ შორის გადამამუშავება, დაკონსერვება), ხორცის რეალიზატორების, რძისა და რძის ნაწარმის მწარმოებელი საწარმოების, ნაყინის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების, მოხუცთა თავშესაფრებსა და სათნოების სახლების კვების ბლოკების, საკვებდნამატების მწარმოებელი/იმპორტიორი ბიზნესოპერატორებისა და ნახევარფაბრიკატების (ნახევრად მზა პროდუქტების) საწარმოების გეგმური ინსპექტირება **წელიწადში ერთხელ;**

დ.ბ) აგრარული ბაზრებისა და იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის გადამამუშავებას (მათ შორის ყველის წარმოება), გეგმური ინსპექტირება განხორციელდება **წელიწადში ორჯერ;**

დ.გ) იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ცხოველის და ფრინველის დაკვლას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება **წელიწადში ოთხჯერ;**

ე) კონკრეტული ბიზნესოპერატორისთვის ერთ კრიტერიუმში ჩამოთვლილი რამდენიმე პუნქტით განსაზღვრული ქულების შეჯამება არ ხდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორს მიენიჭება მაქსიმალური ქულა;

ვ) კრიტერიუმების შემუშავებას საფუძვლად დაედო კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები“ (CAC/GLL 62-2007 “Working Principles for Risk Analysis for Food Safety for Application by Governments”), კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „მიკრობიოლოგიური რისკების მართვის (MRM) პრინციპები“, (CAC/GLL63-2007 – “Principles and Guidelines for The Conduct of Microbiological Risk Management), „რისკზე დაფუძნებული სურსათის ინსპექტირების სახელმძღვანელო“ (Risk-based food inspection manual - 89, FAO, 2008.) აქ არის სწორედ კრიტერიუმები, კარგი იქნება თუ ამას ჩაწერთ;

ზ) არაგეგმური ინსპექტირება - განხორციელდება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილების შესაბამისად.

2. მონიტორინგი

ა) ბიზნესოპერატორების მონიტორინგი განხორციელდება სურსათის ნიმუშების/სინჯების აღებით და დოკუმენტური შემოწმებით;

ბ) მონიტორინგის ფარგლებში სურსათის ნიმუშების/სინჯების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრა განხორციელდა დანართი №1.2-ის შესაბამისად;

გ) სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ **2025 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 7 159** სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (დანართი №1.3);

დ) დოკუმენტური შემოწმების დროს განხორციელდება:

დ.ა) სურსათის ეტიკეტირების (ნებისმიერი სიტყვა, მონაცემი, სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), გრაფიკული გამოსახულება, აღწერილობითი გამოსახულება ან სიმბოლო, რეკლამა, რომელიც დაკავშირებულია სურსათთან და განთავსებულია სურსათის ნებისმიერ შეფუთვაზე, ეტიკეტზე, ბეჭედზე ან საყელოზე ან მოცემულია თანდართულ დოკუმენტში) შემოწმება;

დ.ბ) სურსათის, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, სურსათთან დაკავშირებული ტარისა და შესაფუთი მასალის მიკვლევადობის შემოწმება წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

დ.გ) ბიზნესოპერატორად რეგისტრაციისა და აღიარების შემოწმება;

დ.დ) ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტის შემოწმება;

დ.ე) სურსათის ვარგისიანობის მინიმალური ვადის შემოწმება.

3. ნიმუშის აღება

ა) ნიმუშის აღება ხორციელდება ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოსაკვლევად, რათა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი;

ბ) ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

4. დოკუმენტური შემოწმება

ა) დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად, ან სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმება;

ბ) დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს, და ასევე, დამოუკიდებლად.

გ) შემოწმების პრიორიტეტი ენიჭება ხორცის სარეალიზაციო ობიექტებს, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლის კვების ბლოკებს, კერძოდ:

გ.ა) ხორცის სარეალიზაციო ობიექტების გეგმური დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება წელიწადში 3-ჯერ;

გ.ბ) საბავშვო ბაგა-ბაღების - წელიწადში ერთხელ;

გ.გ) სკოლის კვების ბლოკების - წელიწადში ერთხელ.

დ) არაგეგმური დოკუმენტური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს:

დ.ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე;

დ.ბ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს შეტყობინების საფუძველზე;

დ.გ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, სურსათი/ცხოველის საკვები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს;

დ.დ) სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებით გათვალისწინებული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

დ.ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

5.ზედამხედველობა

ზედამხედველობა არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც განხორციელდება დაკვირვება:

ა) სურსათის განადგურებაზე;

ბ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე;

გ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

6. აუდიტი - გეგმური და არაგეგმური აუდიტი

ა) სააგენტოს რესურსის გათვალისწინებით, HACCP-ის გეგმური აუდიტი განხორციელდება:

ა.ა) ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელ/დამფასოებელ ბიზნესოპერატორთან;

ა.ბ) საბავშვო ბაღების კვების ბლოკში, კერძოდ:

- თვითმმართველ ქალაქებში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი) არსებულ საბავშვო ბაღების არა უმეტეს 10 %-ში, რომელიც შეირჩევა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ისტორიის (შეუსაბამობების რაოდენობის) გათვალისწინებით.

- ყველა მუნიციპალიტეტის თითო საბავშვო ბაღში, რომლის შერჩევა განხორციელდება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ისტორიის შეუსაბამობების რაოდენობის) გათვალისწინებით.

ა.გ) საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, კერძოდ:

ა.გ.ა) ყველა რეგიონში არსებული რესტორნების არა უმეტეს 1 %- ში, რომელიც შეირჩევა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ისტორიის (შეუსაბამობების რაოდენობის) გათვალისწინებით;

ბ) არაგეგმური აუდიტი განხორციელდება ბიზნესოპერატორის მომართვის საფუძველზე.

მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები

1. ბიზნესოპერატორებს მიეცემა შესაბამისი მითითებები (რეკომენდაციები) არსებული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით.

2. შემცირდება საფრთხის შემცველი სურსათის წარმოების და ბაზარზე განთავსების ფაქტები.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე სურსათის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

დანართი №1.1

ბიზნესოპერატორების რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმები

#	რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმი	ქულა
1.	გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები:	
	ა) ცხოველური წარმოშობის სურსათი:	
	ა.ა) ხორცი და ხორცის პროდუქტები	35
	ა.ბ) რძე და რძის პროდუქტები	35
	ა.გ.) თევზი და თევზის პროდუქტები	35
	ა.დ) კვერცხი	20

	ა.ე) ცხოველური წარმოშობის სხვა სურსათი	25
	ბ) მცენარეული წარმოშობის სურსათი:	
	ბ.ა) ხილი, ბოსტნეული	15
	ბ.ბ) უალკოჰოლო სასმელები, წვენები	25
	ბ.გ) მარცვლეული, ფქვილი და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი	15
	ბ.დ) კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი	25
	ბ.ე) შაქარი, მარილი	15
	ბ.ვ) ჩაი, ყავა	15
	ბ.ზ) საკვებდანამატები, სანელებლები, საკაზმები	25
	ბ.თ) ალკოჰოლური სასმელები	15
	ბ.ი) სასმელი წყალი	25
	ბ.კ) მცენარეული წარმოშობის სხვა სურსათი (ზეთები, ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი და სხვ.)	15
	გ) ნახევარფაბრიკატები	25
	დ) საღებავი რეზინი	15
	ე) მზა კერძები	25
	ვ) კონსერვი	35
	ზ) ბავშვთა კვების პროდუქტები	35
	თ) ცხოველთა საკვები	25
	ი) სხვა დასახელების სურსათი	15
2.	საქმიანობის ტიპი	
	ა) წარმოება, გადამამუშავება, ცხოველთა დაკვლა	20
	ბ) პირველადი პროდუქტების წარმოება	5
	გ) შეფუთვა	5
	დ) რძის შეგროვება	15
	ე) საბითუმო ვაჭრობა, დასაწყობება, დისტრიბუცია	5
	ვ) საცალო ვაჭრობა მაღაზიებში	5
	ზ) საცალო ვაჭრობა ბაზრებში და მოძრავ ობიექტებში	5
	თ) საზოგადოებრივი კვება:	
	თ.ა) კაფე, რესტორანი, ბუფეტი, სასადილო და ა.შ.	10

	თ.ბ) ბუფეტი სკოლამდელი ბავშვებისათვის	15
	თ.გ) ბუფეტი სკოლის ასაკის ბავშვებისათვის	10
3.	ბიზნესოპერატორის ისტორია:	
	ა) სააგენტოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევა	
	ა.ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით - რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და არასწორი რეგისტრაცია	20
	ა.ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით - საქმიანობა აღიარების გარეშე	30
	ა.გ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილით - არაკრიტიკული - პირველი ნაწილი	10
	ა.დ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილით კრიტიკული - პირველი ნაწილით და არაკრიტიკულის და კრიტიკულის განმეორება, მე-2 ნაწილი	30
	ა.ე) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის მე-5 ნაწილით - შეჩერების და ბაზრიდან გამოთხოვის მითითების შეუსრულებლობა	30
	ა.ვ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით - მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა მე-6 ნაწილი; განმეორებით ჩადენა მე-7 ნაწილი.	20
	ა.ზ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილებით - განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათის, ჩვილ ბავშვთა ან ბავშვთა კვების პროდუქტებზე მცდარი წარმოდგენის შექმნა მე-8 ნაწილი; განმეორება მე-9 ნაწილი.	30
	ა.თ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის მე-11 ნაწილით - სურსათის	20

ბაზრიდან გამოთხოვის და ამ მიზნით მითებული ზომების შესახებ სააგენტოსთვის სავალდებულო წერილობითი შეტყობინების გაგზავნისთვის თავის არიდება	
ა.ი) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 67-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით - ვადაგასული სურსათის ბაზარზე განთავსება - პირველი ნაწილი; განმეორებით ჩადენა - მე-2 ნაწილი	10
ა.კ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლით ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების ლიცენზიის გარეშე წარმოება-დაფასოება	30
ა.ლ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 73 მუხლით - მიკვლევადობის შეუსრულებლობა	20
ა.მ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 მუხლით - სახელმწიფო კონტროლისთვის ხელის შეშლა	30
ა.ნ) სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდულიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდულიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ - საქართველოს კანონის მე-10 მუხლით	20
ბ) სახელმწიფო კონტროლი არ განხორციელებულა	30
გ) სახელმწიფო კონტროლისას ჯარიმა არ განხორციელებულა	0

დანართი №1.2

მონიტორინგი - ნიმუშის აღება მეთოდოლოგია

1. მონიტორინგის დროს ასაღები სურსათის ნიმუშების კატეგორიების/სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 26¹ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები:

ა) წინა წლებში მოსახლეობასა კვებითი მომხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადების შემთხვევები;

- ბ) სურსათის მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;
- გ) გარემოს დაბინძურების შემთხვევები;
- დ) მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;
- ე) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

2. ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით გათვალისწინებული იქნა: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესისა“ და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილებით დამტკიცებული „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები.

3. სურსათის დაყოფა პირობითად მოხდა 7 კატეგორიად, შესაბამისად, თითოეული კატეგორიას 100%-დან განესაზღვრა 14% - 14% (1/7 ნაწილი). სურსათის კატეგორიებია:

- ა) ხორცი და ხორცის პროდუქტები (მ.შ. ფრინველის ხორცი და ფრინველი ხორცის პროდუქტები);
- ბ) თევზი და თევზის პროდუქტები;
- გ) რძე და რძის პროდუქტები;
- დ) კვერცხი და კვერცხის პროდუქტები;
- ე) ჩვილ ბავშვთა კვებისთვის და ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი;
- ვ) არაცხოველური წარმოშობის სურსათი;
- ზ) მზა სურსათი.

4. კრიტერიუმების ქულები:

- ა) დაბალი რისკი - $(1 - 3) = 0,05$ ქულა;
- ბ) საშუალო რისკი - $(4) = 0,15$ ქულა;
- გ) მაღალი რისკი - $(6 - 9) = 0,5$ ქულა.

I. სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა

1. სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);
- ბ) წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი;

გ) მოსახლეობაში კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა შეჯამებით მიღებული იქნა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი.

2.1. კრიტერიუმი 1 - მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

კანონმდებლობის და დაავადებათა შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებული იქნა 6 მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი:

- ა) სალმონელა;
- ბ) *Listeria monocytogenes*;
- გ) სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი;
- დ) ჰისტამინი;
- ე) კოაგულაზადადებით სტაფილოკოკი;
- ვ) ბრუცელა.

- „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით განსაზღვრული ბაზარზე განთავსებული სურსათის უვნებლობის მაჩვენებლებიდან იდენტიფიცირებული იქნა 4 მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი: **სალმონელა, *Listeria monocytogenes*, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი და ჰისტამინი.**

- ამავე დადგენილების წარმოების პროცესის ჰიგიენური მაჩვენებლებიდან - ***S. aureus* - კოაგულაზა დადებითი სტაფილოკოკის** იდენტიფიცირება განპირობებულია 2024 წლის 5 მარტს სააგენტოში გამართულ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის - „რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი საქართველოში“ - თვისობრივი კვლევის ანგარიშის განხილვაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისად, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, რისკის შეფასების მიზნით, სააგენტოს მიერ ყველის მწარმოებელ ბიზნესოპერატორთან აღებული იქნას ყველის 50 ნიმუში *S. aureus* - კოაგულაზა დადებით სტაფილოკოკზე გამოკვლევისთვის.

- **ბრუცელას** იდენტიფიცირება განპირობებულია საქართველოში ბრუცელოზის შემთხვევების გათვალისწინებით.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა - 0,15 ქულა;
- *Listeria monocytogenes* - 0,05 ქულა;

- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი - 0,05 ქულა;
- ჰისტამინი - 0,5 ქულა;
- ბრუცელა - 0,5 ქულა;
- S. Aureus - 0,05 ქულა.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული გამოცდის შედეგების ანალიზი

სააგენტოს 2024 წლის 11 თვის მონაცემებით:

- სურსათში სალმონელას კვლევა: აღებული იქნა სურსათის 776 ნიმუში, სალმონელა აღმოჩნდა 12 ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 1,55%);
- სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა: აღებული იქნა სურსათის 220 ნიმუში, *Listeria monocytogenes* არ აღმოჩნდა არცერთ ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0%);
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: აღებული იქნა სურსათის (ყველის) 50 ნიმუში, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0%);
- თევზში ჰისტამინის განსაზღვრა: აღებული იქნა თევზის 135 ნიმუში, დარღვევა არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0%);
- ნედლი რძის კვლევა ბრუცელაზე: აღებული იქნა ნედლი რძის 160 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 10 ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 6,25%).
- ყველში S. Aureus-ის კვლევა: აღებული იქნა სურსათის 50 ნიმუში, S. Aureus არ აღმოჩნდა არცერთ ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0%);

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევები 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალი სიმწვავის საფრთხედ;
- დარღვევები 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო სიმწვავის საფრთხედ;
- მწვავე საფრთხედ მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა: 0,05 ქულა;
- *Listeria monocytogenes*: 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: 0,05 ქულა;
- ჰისტამინი: 0,05 ქულა;
- ბრუცელა: 0,15 ქულა;
- S. Aureus: 0,05 ქულა.

2.3. კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში კვებითი მოშხამეების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები

გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 თვის სტატისტიკური მონაცემები:

- სალმონელოზი: 281 შემთხვევა;
- ლისტერიოზი: ეპიდზედამხედველობა არ არის დამყარებული;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინით გამოწვეული მოშხამვა: მონაცემები არ არსებობს;
- ჰისტამინით გამოწვეული დაავადებები: მონაცემები არ არსებობს;
- ბრუცელოზი: 211 შემთხვევა;
- S. Aureus: ეპიდზედამხედველობა არ არის დამყარებული.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალი სიმწვავის საფრთხედ;
- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 250-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო სიმწვავის

საფრთხედ;

- მწვავე საფრთხედ მიჩნეული იქნა 251 და მეტი შემთხვევა.

შენიშვნა: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემების არარსებობის გამო - *Listeria monocytogenes*, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი და *S. Aureus* შეფასდა საშუალო სიმწვავის საფრთხედ, ხოლო თევზის საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, ჰისტამინი შეფასდა მწვავე საფრთხედ.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა: 0,5 ქულა;
- *Listeria monocytogenes*: 0,15 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: 0,15 ქულა;
- ჰისტამინი: 0,5 ქულა;
- ბრუცელა: 0,15 ქულა;
- *S. Aureus* - კოაგულაზა დადებით სტაფილოკოკი: 0,15 ქულა.

2.4. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა.

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი
სალმონელა	0.15	0.05	0.5	0.7
<i>Listeria monocytogenes</i>	0.05	0.05	0.15	0.25
სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	0.05	0.05	0.15	0.25

ჰისტამინი	0.5	0.05	0.5	1.05
ბრუცელა	0.5	0.15	0.15	0.8
S. Aureus	0.05	0.05	0.15	0.25

3. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული ანალიზისთვის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1. სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 538,64 (539 კგ) კგ. სურსათი.

3.2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების გათვალისწინებით:

3.2.1. სალმონელას ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ყველა სახეობის სურსათში.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობა (539 კილოგრამი).

3.2.2. *Listeria monocytogenes*-ის ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ჩვილ ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილ სურსათში და ასევე, მზა სურსათში (სურსათის 2 სახეობა/კატეგორია, სულ 28%).

- მზა სურსათზე ინფორმაციის არარსებობის გამო, ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობის 14%, რამაც შეადგინა საშუალოდ 75,46 (75,5) კილოგრამი. აღნიშნულ რაოდენობას დამატებული იმპორტირებული ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათის რაოდენობა.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში 2024 წელს (2024 წლის 11 თვე) იმპორტირებული იქნა 1 809 908,93 კგ. ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი:

- „საქსტატის“ 2024 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 171 212 ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვი;

- ამდენად, 1 ბავშვის მიერ მოხმარებული სურსათის (ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვისთვის განკუთვნილი სურსათი) რაოდენობა 1 წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 10,6 კგ-ს.

- სულ *Listeria monocytogenes*-ზე ასაღები სურსათის რაოდენობამ შეადგინა $75,5 + 10,6 = 86,1$ კგ.

3.2.3. სტაფილოკოკური ენტეროტოქსინის ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ყველში, მშრალ რძესა და მშრალ შრატში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 204 კგ. რძე და რძის პროდუქტები.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული რძისა და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობის 20%, რამაც შეადგინა 40,8 კილოგრამი.

3.2.4. ჰისტამინის ლაბორატორიული გამოცდა ხორციელდება მხოლოდ თევზში.

- „საქსტატის“ - იმპორტისა და წარმოების მოცულობის მიხედვით, 2023 წელს ქვეყანაში იმპორტირებული იქნა 22,2 ათასი ტონა თევზი (მ.შ. კონსერვი) და წარმოებული იქნა 2469,5 ტონა თევზი. ამდენად, 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 6,60 კგ. თევზი და თევზის პროდუქტი (მოსახლეობის რიცხოვნობა - 3 736 357).

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული თევზისა და თევზის პროდუქტების საერთო რაოდენობა, რამაც შეადგინა - 6,60 კილოგრამი.

3.2.5. ბრუცელას ლაბორატორიული გამოცდა ხორციელდება ნედლ რძეში.

- „საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წელს მიღებული იქნა 584 300 000 ლიტრი ნედლი რძე, შესაბამისად, 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 156 ლიტრი რძე (მოსახლეობის რიცხოვნობა - 3 736 357).

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული ნედლი რძე - 156 ლიტრი.

3.2.6. ლაბორატორიული ანალიზი *S. Aureus*-ზე ხორციელდება ყველში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 204 კგ. რძე და რძის პროდუქტები.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული რძისა და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობის 20%, რამაც შეადგინა 40,8 კილოგრამი.

3.3. ზემოღნიშნულისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-თ განსაზღვრული ასაღები ნიმუშების რაოდენობის [*Salmonella* (1 ერთეული X 5 ნიმუში ან 1 ერთეული X 30 ნიმუში - ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი მზა სურსათი), *Listeria monocytogenes* (1 ერთეული X 5 ნიმუში ან 1 ერთეული X 10 ნიმუში - ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი მზა სურსათი), სტაფილოკოკური ენტეროტოქსინის (1 ერთეული X 5 ნიმუში), კოაგულაზა-დადებითი სტაფილოკოკი (1 ერთეული X 5 ნიმუში) და ჰისტამინი (1 ერთეული X 9 ნიმუში)] გათვალისწინებით, წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით: **N = K X A X n**

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში;

n - მაჩვენებლის ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით განსაზღვრული რაოდენობა.

3.4. 2024 წელს ასაღებმა სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

3.4.1. სურსათში სალმონელას კვლევა: $N = K \times A \times n = 0,7 \times 539 \times 5 = 1\ 886,5 = 1\ 890$ ნიმუში.

3.4.2. სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა: $N = K \times A \times n = 0,25 \times 86,1 \times 10 = 215,25 = 215$ ნიმუში.

3.4.3. სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: $N = K \times A \times n = 0,25 \times 40,8 \times 5 = 51 = 50$ ნიმუში.

3.4.4. ჰისტამინი: $N = K \times A \times n = 1,05 \times 6,6 \times 9 = 62,37 = 63$ ნიმუში.

3.4.5. ნედლი რძის კვლევა ბრუცელაზე: $N = K \times A = 0,8 \times 156 = 124,8 = 125$ ნიმუში.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში აღრიცხულია 200 ნედლი რძის მიმღები და გადამამუშავებელი ბიზნესოპერატორი, მიზანშეწონილია, ყველა ბიზნესოპერატორიდან აღებული იქნას მინიმუმ 1 (ერთი) ნედლი რძის ნიმუში ბრუცელაზე გამოკვლევის მიზნით. ამდენად, 2025 წელს ბრუცელაზე გამოკვლევის მიზნით აღებული იქნება 200 ნედლი რძის ნიმუში.

3.4.6. ყველში კოაგულაზა-დადებითი სტაფილოკოკის (*S. Aureus*) კვლევა: $N = K \times A \times n = 0,25 \times 40,8 \times 5 = 51 = 50$ ნიმუში.

II. სურსათის ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა

1. სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლებისა და მიკოტოქსინების, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების, პესტიციდებისა და ტრანსცხიმების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);

ბ) წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი;

გ) არამიკრობული წარმოშობის კვებითი მოშხამვები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლებისა და მიკოტოქსინების, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების, პესტიციდებისა და ტრანსცხიმების კოეფიციენტი:

2.1. კრიტერიუმი 1 - არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, ასევე, მიკოტოქსინების, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების, სურსათში

პესტიციდების ნარჩენების და ტრანსცხიმების განსაზღვრა (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები: 0,5 ქულა;
- პესტიციდები: 0,5 ქულა;
- ტრანსცხიმები: 0,05 ქულა;
- მიკოტოქსინები: 0,5 ქულა;
- პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები: 0,5 ქულა.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის სურსათის ლაბორატორიული გამოცდის შედეგების ანალიზი

სააგენტოს 2024 წლის 11 თვის მონაცემებით:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა სურსათის 300 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 37 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 12,3%;

- სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა: აღებული იქნა სურსათის (ხორცი და ხილ-ბოსტნეული) 310 ნიმუში. შეუსაბამობა არ გამოვლენილა არცერთ ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 0%.

- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: აღებული იქნა სურსათის 85 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევამ შეადგინა 0%.

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში მიკოტოქსინების (აფლატოქსინები) განსაზღვრა: ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა ექსპორტირებული თხილის 312 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა ექსპორტირებული თხილის 5 ნიმუშში (ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SANTE) ევროპის კომისიის RASFF-ის სწრაფი საგანგაშო შეტყობინებები). დარღვევამ შეადგინა 1,6%;

- სურსათში პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების კვლევა: ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა სურსათის 60 ნიმუში, შეუსაბამობა არ გამოვლენილა არცერთ ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 0%.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევები 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალი სიმწვავის საფრთხედ;
- დარღვევები 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო სიმწვავის საფრთხედ;
- მწვავე საფრთხედ მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: 0,5 ქულა;
- სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა: 0,05 ქულა;

- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: 0,05 ქულა;

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში მიკოტოქსინების (აფლატოქსინები) განსაზღვრა: 0,05 ქულა;

- სურსათში პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების კვლევა: 0,05 ქულა.

2.3. კრიტერიუმი 3 - არამიკრობული წარმოშობის კვებითი მოშხამვები

- მონაცემების არარსებობის გამო, ყველა მაჩვენებელი შეფასდა საშუალო სიმწვავის საფრთხედ.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები: 0,15 ქულა;

- პესტიციდების ნარჩენები: 0,15 ქულა;

- ტრანსცხიმები: 0,15 ქულა;

- მიკოტოქსინები: 0,15 ქულა;

- პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები: 0,15 ქულა.

2.4. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდების ნარჩენების, მიკოტოქსინების, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადებისა და ტრანსცხიმების მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა.

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი
არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები	0.5	0.5	0.15	1.15
სურსათში პესტიციდების ნარჩენები	0.5	0.05	0.15	0.7
ტრანსცხიმები	0.05	0.05	0.15	0.25

მიკოტოქსინები	0.5	0.05	0.15	0.7
პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები	0.5	0.05	0.15	0.7

3. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდების ნარჩენების, მიკოტოქსინების, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადებისა და ტრანსცხიმების შემცველობაზე ლაბორატორიული გამოცდისთვის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1 სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში. „საქსტატის“ მონაცემებით 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 539 კგ. სურსათი.

არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები:

- არ იძებნება მონაცემები ისეთი არაცხოველური წარმოშობის სურსათის მოხმარების შესახებ, როგორცაა: მცენარეული კონსერვები, უალკოჰოლო სასმელები, არაცხოველური წარმოშობის მზა სურსათი და სხვა.

- „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილების გათვალისწინებით, ასაღები არაცხოველური წარმოშობის სურსათის რაოდენობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული არაცხოველური წარმოშობის სურსათის საერთო რაოდენობას დამატებული მისი 14% (მზა სურსათზე მონაცემების არარსებობის გამო - სურსათის 7 კატეგორიიდან 1/7 ნაწილი - 14%), და დამატებული იმპორტირებული ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათის რაოდენობა.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 276 კგ. არაცხოველური წარმოშობის სურსათი, დამატებული მისი 14%, რამაც ჯამში შეადგინა $276 + 38,64 = 314,6$ კგ.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში 2024 წელს (2024 წლის 11 თვე) იმპორტირებული იქნა 1 809 908,93 კგ. ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი:

- „საქსტატის“ 2024 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 171 212 ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვი;

- ამდენად, 1 ბავშვის მიერ მოხმარებული სურსათის (ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვისთვის განკუთვნილი სურსათი) რაოდენობა 1 წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 10,6 კგ-ს.

- სულ არაცხოველური წარმოშობის სურსათის რაოდენობამ შეადგინა $314,6 + 10,6 = 325,2$ კგ.

სურსათში პესტიციდების ნარჩენები:

- იმის გათვალისწინებით, რომ 2025 წელს სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს როგორც არაცხოველურ, ასევე ცხოველურ სურსათში, ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობა, რამაც „საქსტატის“ მონაცემებით **ჯამში შეადგინა 539 კგ.**

ტრანსცხიმები:

- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული არაცხოველური წარმოშობის სურსათის საერთო რაოდენობას (276 კგ.) დამატებული მისი 14% (მზა სურსათი), რამაც ჯამში შეადგინა $276 + 38,64 = 314,6$ კგ.

მიკოტოქსინები:

2025 წელს მიკოტოქსინების განსაზღვრა განხორციელდება „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილებით ნორმირებულ: მარცვლეულში, კაკლოვნებსა და არაქისში (ნედლეულში ავლათოქსინი MI-ის ლაბორატორიული გამოკვლევა განხორციელდება „ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლისა და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა“ ქვეპროგრამით).

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ აღებული იქნა:

- „საქსტატის“ თხილის, კაკლის, ხორბლის, ქერის, შვრიისა და სიმინდის ქვეყანაში წარმოების 2023 წლის მონაცემი და ინფორმაცია ხორბლისა და ბრინჯის იმპორტის თაობაზე.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის ინფორმაცია არაქისის იმპორტის (945 434 კგ.) თაობაზე.

„საქსტატის“ მონაცემებით ქვეყანაში 2023 წელს:

- წარმოებული კაკლისა და თხილის რაოდენობამ შეადგინა 44 100 000 კგ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამავე წელს ექსპორტირებული კაკლისა და თხილის რაოდენობამ შეადგინა 13 487 110 კგ, აღნიშნული კაკლოვნების რაოდენობად მიღებული იქნა მათი წარმოებისა და ექსპორტის რაოდენობათა სხვაობა და კაკლოვნების რაოდენობამ შეადგინა

30 612 890 კგ.

- ხორბლის, ქერის, შვრიისა და სიმინდის წარმოებამ შეადგინა 392 500 000 კგ. ხოლო, ხორბლისა და ბრინჯის იმპორტმა 234 000 000 კგ. (ჯამში 626 500 000 კგ.).

ამდენად, იმპორტისა და წარმოების მოცულობის (სულ: 658 058 324 კგ.) მიხედვით, 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **176 კგ.** მარცვლეული და კაკლოვნები (მოსახლეობის რიცხოვნობა - 3 736 357).

პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები:

„სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილების შესაბამისად და ქვეყნის მოსახლეობის კვების თავისებურების გათვალისწინებით, 2025 წელს სურსათში **პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების (ბენზო(a)პირენი, ბენზო(a)ანთრაცინი, ბენზო(a)ფლუორენი, ქრიზენი)** განსაზღვრა განხორციელდება: მცენარეულ ზეთებში, შებოლილ ხორცსა და შებოლილ ხორცპროდუქტებში, შებოლილ თევზსა და შებოლილი ქარხალას კონსერვში, მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებულ სურსათში და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილ სურსათში, ფორმულა ჩვილი ბავშვებისა და დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის, მათ შორის, რძიანი ფორმულა ჩვილი ბავშვებისა და რძიანი დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის, სუნელ-სანელებლებში.

ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობის (539 კგ.) 70% (სურსათის 7 კატეგორიიდან - 4 კატეგორიის/სახეობის სურსათი - თითოეული 14%), რამაც შეადგინა **301,8 კგ.** დამატებული იმპორტირებული ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათის, ასევე, ზეთებისა და სუნელ-სანელებლების (წარმოება და იმპორტი) რაოდენობა.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში 2024 წელს (2024 წლის 11 თვე) იმპორტირებული იქნა 1 809 908,93 კგ. ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი:

- „საქსტატის“ 2024 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 171 212 ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვი;

ამდენად, 1 ბავშვის მიერ მოხმარებული სურსათის (ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვისთვის განკუთვნილი სურსათი) რაოდენობა 1 წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს **10,6 კგ-ს.**

- „საქსტატის“ მონაცემებით 2023 წელს წარმოებული წიწაკის რაოდენობამ შეადგინა - 12 000 000 კგ.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2023 წელს:

- სუნელ-სანელებლების იმპორტმა შეადგინა - 6 451 581 კგ.;
- ზეთის იმპორტმა შეადგინა - 2 672 397 კგ.

ამდენად, სუნელ-სანელებლების წარმოებისა და იმპორტის (18 451 581 კგ.), ასევე, ზეთის იმპორტის მოცულობის (სულ: 21 123 978 კგ.) მიხედვით, 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა დაახლოებით 5,65 კგ. ზემოდასახელებული სურსათი (მოსახლეობის რიცხოვნობა - 3 736 357).

- სულ პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების განსაზღვრისათვის სურსათის რაოდენობამ შეადგინა $301,8 + 10,6 + 5,65 = 318,05$ კგ.

3.2. ზემოლნიშნულიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით: $N = K \times A$.

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

3.3. 2025 წელს ასაღებმა სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

3.3.1. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: $N = K \times A = 1,15 \times 325,2 = 373,98$ ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 374 ერთეული.

3.3.2. სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა: $N = K \times A = 0,7 \times 539 = 377,3$ ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 378 ერთეული - 50% არაცხოველური წარმოშობის სურსათი (189 ნიმუში) და 50% ცხოველური წარმოშობის სურსათი (189 ნიმუში).

3.3.3. სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: $N = K \times A = 0,25 \times 314,6 = 78,65$ ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 79 ერთეული.

3.3.4. არაცხოველური წარმოშობის სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრა: $N = K \times A = 0,7 \times 176 = 123,2$ ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 123 ერთეული.

3.3.5. სურსათში პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების კვლევა: $N = K \times A = 0,7 \times 318 = 222,6$ ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 222 ერთეული.

III. სასმელი წყლის (მ.შ დაფასოებული) ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების/სინჯების რაოდენობის განსაზღვრა

1. სასმელი წყლის (მ.შ. დაფასოებული) ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები სინჯების რაოდენობის დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით;

ბ) წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება;

გ) მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტი:

2.1. კრიტერიუმი 1 - სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი: 0,5 ქულა.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება.

2024 წლის 11 თვის მონაცემებით:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული): ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა 747 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 287 ნიმუშში/სინჯში. დარღვევამ შეადგინა 38,42%;

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევები 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალი სიმწვავის საფრთხედ;

- დარღვევები 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო სიმწვავის საფრთხედ;

- მწვავე საფრთხედ მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული): 0,5 ქულა.

2.3. კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები.

2.3.1. სასმელ წყალთან (მ.შ. დაფასობული) დაკავშირებული დაავადებების შესახებ მონაცემების არარსებობის გამო, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შეტყობინებას დაქვემდებარებული ავადმყოფობებიდან გამოყოფილი იქნა დაავადებები, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს სასმელ წყალს, კერძოდ, გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 თვის სტატისტიკური მონაცემები:

- სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების შემთხვევათა რაოდენობა: 11 569 შემთხვევა;

- შიგელოზი: 4 შემთხვევა;

- ჰეპატიტი „ა“: 41 შემთხვევა.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალი სიმწვავის საფრთხედ;

- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 250-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო სიმწვავის საფრთხედ;

- მწვავე საფრთხედ მიჩნეული იქნა 251 და მეტი შემთხვევა.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული): 0,5 ქულა.

2.4. სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტის დადგენა:

- შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები: სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული): $0,5 + 0,5 + 0,5 = 1,5$ ქულა.

3. ლაბორატორიული კვლევისათვის სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის დადგენა:

3.1. სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-2 მუხლის №7 ცხრილით მიმწოდებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში სასმელი წყლის გამოსაკვლევი სინჯების რაოდენობა. წინა წლების სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევის შედეგებში მიკრობული დაბინძურების მაღალი მაჩვენებლისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის გათვალისწინებით, შერჩეული იქნა 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა, რაც ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად შეადგენს 365 სინჯს.

3.2. არ იძებნება მონაცემები წარმოებული დაფასობული სასმელი წყლის რაოდენობის შესახებ;

3.3. სასმელი წყლის ასაღები ნიმუშების/სინჯების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$N = K \times A$$

სადაც, N არის ასაღები სინჯების რაოდენობა;

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა.

3.4. 2024 წელს სასმელი წყლის ასაღები სინჯების რაოდენობამ შეადგინა: $N = K \times A = 1,5 \times 365 = 547,5 = 550$ სინჯი.

იმის გათვალისწინებით, რომ ასაღები სინჯების რაოდენობაში არ არის გათვალისწინებული დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან ან მოქალაქეთა მხრიდან შემოსული შეტყობინებების რაოდენობა, წყლის სასაქონლო პროდუქციის (დაფასობული სასმელი წყალი) ნიმუშების რაოდენობა, ასევე, სააგენტოში არსებული მონაცემების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, დაინტერესებული პირების ჩართულობით, რისკის შეფასებისათვის პრიორიტეტულ საფრთხედ დასახელდა სასმელ წყალსა და ბოსტნეულში ნიტრატები. ამდენად, სააგენტოს მიერ აღებული იქნება დამატებით სავარაუდოდ 200 ნიმუში/სინჯი.

- სულ 2025 წელს აღებული იქნება სასმელი წყლის (მ.შ დაფასობული) 750 ნიმუში/სინჯი.

IV. სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის და სურსათში საღებავების შემცველობის ლაბორატორიული კვლევა

1. სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიისა და სურსათში საღებავების შემცველობის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიისა და სურსათში საღებავების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);

ბ) წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება;

გ) მოსახლეობაში ტყვიითა და საღებავებით (არასაკვები დანიშნულების სუდანის ჯგუფის საღებავები) დაბინძურებული სურსათის მიღებით გამოწვეული დაავადებების შემთხვევები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტი:

2.1. კრიტერიუმი 1 - ტყვიისა და საღებავების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- ტყვია: 0,15 ქულა;

- საღებავები: 0,5 ქულა.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები

სააგენტოს 2024 წლის 11 თვის მონაცემებით:

- ტყვიის შემცველობაზე კვლევის მიზნით აღებული იქნა სურსათის (მ.შ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) 72 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა არცერთ ნიმუშში, დარღვევამ შეადგინა 0%;

- სურსათში საღებავების (სუდანის ჯგუფის აზო-საღებავები) შემცველობის განსაზღვრის მიზნით აღებული იქნა 113 ნიმუში, აზო-საღებავები საღებავები აღმოჩნდა 4 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 3,54%.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალი სიმწვავის საფრთხედ;

- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო სიმწვავის საფრთხედ;

- მწვავე საფრთხედ მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სურსათში (მ.შ. ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის განსაზღვრა: 0,05 ქულა;

- სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა: 0,15 ქულა.

2.3 კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში კვებითი მოშხამეების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები.

2.3.1. გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ბავშვთა სისხლში ტყვიის ბიომონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის 2024 წლის 10 თვის მონაცემები. 10 მკგ/დლ-ზე მაღალი ტყვიის შემცველობა გამოუვლინდა 122 ბენეფიციარს.

2.3.2. არასაკვები დანიშნულების აზო-საღებავებით სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევების შესახებ მონაცემები არ არსებობს.

2.3.3. სსიპ „სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ მიერ „სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასების“ საფუძველზე, სუდანის ჯგუფის აზო-საღებავები მიჩნეული იქნა დაბალ რისკად.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალი სიმწვავის საფრთხედ;
- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 250-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო სიმწვავის საფრთხედ;

- მწვავე საფრთხედ მიჩნეული იქნა 251 და მეტი შემთხვევა.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- ტყვია: 0,05 ქულა;
- საღებავები: 0,05 ქულა.

2.4. ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტის დადგენა

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტე რიუმი 1	კრიტე რიუმი 2	კრიტე რიუმი 3	ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტი
სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის განსაზღვრა	0.15	0.05	0.05	0.25
სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა	0.50	0.15	0.05	0.7

3. ტყვიისა და საღებავების მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1. სურსათში (მ.შ. ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობაზე ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული ცხოველური წარმოშობის სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში (*შენიშვნა: არაცხოველური წარმოშობის სურსათის ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათის კვლევა ტყვიის შემცველობაზე ხორციელდება „არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა“ ქვეპროგრამით*) და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, იმპორტირებული ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათის რაოდენობა.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 262,64 კგ. ცხოველური წარმოშობის სურსათი;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში 2024 წელს (2024 წლის 11 თვე) იმპორტირებული იქნა 1 809 908,93 კგ. ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი:

- „საქსტატის“ 2024 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 171 212 ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვი;

- ამდენად, 1 ბავშვის მიერ მოხმარებული სურსათის (ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვისთვის განკუთვნილი სურსათი) რაოდენობა 1 წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 10,6 კგ-ს.

სულ მოხმარებული სურსათის რაოდენობა შეადგენს $262,64 + 10,6 = 273,2$ კგ.

3.2. სურსათში საღებავების შემცველობაზე ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული საფრთხესთან ასოცირებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში (*საფრთხესთან ასოცირებული სურსათის კატეგორია: სუნელ-სანელებლები, სოუსები/საწებლები, კვერცხი და დასახელებული ნედლეულის შემცველი მზა სურსათი. სურსათის კატეგორიები დადგენილი იქნა ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SANTE) ევროპის კომისიის RASFF-ის სწრაფი საგანგაშო შეტყობინებების, სააგენტოს 2019 – 2024 წლების მონიტორინგის შედეგებით და რისკის შეფასების სტრუქტურების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან*).

- „საქსტატის“ მონაცემებით 2023 წელს:

- 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **7,04 კგ.** საფრთხესთან ასოცირებული სურსათი - კვერცხი;

- წარმოებული წიწაკის რაოდენობა - 12 000 000 კგ.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2023 წელს:

- სუნელ-სანელებლების იმპორტმა შეადგინა - 6 451 581 კგ.;
- სოუსები/საწებლების/ტომატ-პასტის იმპორტმა შეადგინა - 8 851 881,50 კგ.

ამდენად, წიწაკის, სუნელ-სანელებლებისა და სოუსები/საწებლების/ტომატ-პასტის იმპორტისა და წარმოების მოცულობის (სულ: 27303462.5კგ.) მიხედვით, 2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა დაახლოებით **7,3 კგ.** ზემოდასახელებული სურსათი (მოსახლეობის რიცხოვნობა - 3 736 357).

2023 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **14,34 კგ.** (7,3 + 7,04 კგ. = 14,34 კგ.) კვერცხი, წიწაკის, სუნელ-სანელებლებისა და სოუსები/საწებლების/ტომატ-პასტა.

არ იძებნება მონაცემები მზა სურსათის მოხმარების შესახებ, რის გამოც საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობას (539 კგ.) 14% (მზა სურსათზე მონაცემების არარსებობის გამო - სურსათის 7 კატეგორიიდან 1/7 ნაწილი - 14%), დამატებული საფრთხესთან ასოცირებული სურსათის რაოდენობა (14,34 კგ), რამაც ჯამში შეადგინა $14,34 + 75,46 = 89,8$ კგ.

3.3. წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით: $N = K \times A$

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

3.4. 2025 წელს სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

3.4.1. ცხოველური წარმოშობის სურსათსა და ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა: $N = K \times A = 0,25 \times 273,2 = 68,3$ ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: **68 ერთეული.**

3.4.2. სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა: $N = K \times A = 0,7 \times 89,9 = 62,8 = 63$ ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: **63 ერთეული.**

სსიპ „სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ მიერ „სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასების“ საფუძველზე შემუშავებული „რისკის მინიმიზირების რეკომენდაციები“-ს შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნა „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის“ პროგრამით განისაზღვროს სუდანის ჯგუფის საღებავებზე ლაბორატორიულ ტესტირებას დაქვემდებარებული სურსათის სახეობები და ნიმუშის აღების სასურსათო ჯაჭვის ეტაპები.

აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად, „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის“ 2025 წლის პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ „სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა“ ქვეპროგრამით სუდანის ჯგუფის აზო-საღებავები (Sudan I; Sudan II; Sudan III; Sudan IV; Sudan orange G;

Sudan Red G; Sudan Red 7 B; Para Red) გამოკვლეული იქნება შემდეგი კატეგორიის სურსათში: სუნელ-სანელებლები (მ.შ. წითელი წიწაკა, ზაფრანა), აჯიკა, სვანური მარილი, სოუსები (კეტჩუპი, ტყემალი, ტომატ-პასტა, საწებელი), ტომატის წვენი, კვერცხი, მდოგვი.

სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ სათანადოდ აღებული იქნება ქვეყნის ბაზარზე განთავსებული როგორც ადგილობრივი, ასევე, იმპორტირებული საექვო სურსათი.

შენიშვნა: იმის გათვალისწინებით, რომ, სურსათში ტოლუიდინის წითელის შემცველობის განსაზღვრა "ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები სააგენტოსათვის დღეისათვის არ არის ცნობილი, ვერ მოხერხდა 2025 წელს ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა. აღნიშნულის განსაზღვრა კრიტერიუმებით და პროგრამაში შესაბამისი ცვლილების შეტანა მოხდება სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და გარემოს ინსტიტუტის "BIOR" შედეგების მიღების შემდგომ.

V. სხვა ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა

1. სურსათის ლაბორატორიული კვლევისათვის მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების გარდა, ახალი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული მაჩვენებლების კონტროლის, RASFF-ის შეტყობინებების, მომხმარებელთა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებისა და დაცვის (მ.შ. ფალსიფიკაცია) მიზნით, განსაზღვრული იქნა 7 ქვეპროგრამა (იმის გათვალისწინებით, რომ ხორცის პროდუქტებში კალციუმის შემცველობის განსაზღვრის ქვეპროგრამით 2023 და 2024 წლებში გამოკვლეული 60 ნიმუშიდან შეუსაბამობა არ გამოვლენილა არცერთ ნიმუშში, მიზანშეწონილია 2025 წელს არ მოხდეს ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა).

- ა) ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა;
- ბ) სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა;
- გ) ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა;
- დ) გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა;
- ე) რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა;
- ვ) რძესა და რძის ნაწარმში ტენიანობის განსაზღვრა (კარაქი);
- ზ) რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის განსაზღვრა (კარაქი).

1.1. ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა - სააგენტოს მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2019 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 109 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 12,8%.

- 2020 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 198 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 4 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2%.
- 2021 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 114 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 4 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 3,5%.
- 2022 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 75 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 4 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 5,3%;
- 2023 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 133 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 10 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 7,5%;
- 2024 წელს (11 თვე) აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 150 ნიმუში, შეუსაბამობა გამოვლინდა 4 ნიმუშში (ეტიკეტის შეუსაბამობა). დარღვევამ შეადგინა 2,6%;

ამდენად, 2020 და 2021 წლებთან შედარებით 2022 და 2023 წლებში მომატებულია დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი ეტიკეტების წესის შეუსაბამობის გამო. 2022 – 2023 წლებთან შედარებით იკლო ეტიკეტების წესის შეუსაბამობის გამო დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა.

1.2. სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა - სააგენტოს მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2019 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 10%;
- 2020 წელს აღებული იქნა სურსათის 50 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა;
- 2021 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა;
- 2022 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა;
- 2023 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა;
- 2024 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა.

ამდენად, 2020 წლიდან ლაბორატორიულად გამოკვლეულ სურსათში გმო-ს შემცველობა არ გამოვლენილა.

1.3. ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა - სააგენტოს მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2019 წელს დარღვევამ შეადგინა 8%;
- 2020 წელს დარღვევამ შეადგინა 23,6%;
- 2021 წელს აღებული იქნა სურსათის 160 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 25 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 15,6%;

- 2022 წელს აღებული იქნა სურსათის 200 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 26 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 13%;

- 2023 წელს აღებული იქნა სურსათის 195 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 6 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 3,08%;

- 2024 წელს (11 თვე) აღებული იქნა სურსათის 190 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 0,53%.

ამდენად, დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა 2020 - 2022 წლებთან შედარებით 2023 – 2024 წლებში დაიკლო.

1.4. გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა 2020 წელს განხორციელდა პირველად, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №340 დადგენილების შესაბამისად - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2020 წელს აღებული იქნა სურსათის 98 ნიმუში. დარღვევა არ გამოვლენილა;

- 2022 წელს აღებული იქნა სურსათის 75 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევამ შეადგინა 0%;

- 2023 წელს აღებული იქნა სურსათის 75 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 28 ნიმუშში, დარღვევამ შეადგინა 37%;

- 2024 წელს აღებული იქნა სურსათის 75 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში, დარღვევამ შეადგინა 4%.

ამდენად, 2023 წელთან შედარებით, მკვეთრად დაბალია შეუსაბამობის პროცენტული მაჩვენებელი.

1.5. რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა - სააგენტოს მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2019 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 60 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 5 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 8,3%;

- 2020 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 60 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 8 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 13,3%;

- 2021 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 116 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 10 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 8,6%;

- 2022 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 90 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 5 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 4,2%;

- 2023 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 243 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 7 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2,9%;

- 2024 წელს (11 თვე) აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 280 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 8 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2,85%.

1.6. რძესა და რძის ნაწარმში ტენიანობის განსაზღვრა (კარაქი) - 2023 წელს განხორციელდა პირველად, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილების შესაბამისად. მონიტორინგის შედეგებით:

- 2023 წელს აღებული იქნა კარაქის 35 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 11 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 31,4%;

- 2024 წელს (11 თვე) აღებული იქნა კარაქის 33 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 8 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 24,2%.

1.7. რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის განსაზღვრა (კარაქი) - 2023 წელს განხორციელდა პირველად, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილების შესაბამისად. მონიტორინგის შედეგებით:

- 2023 წელს აღებული იქნა კარაქის 35 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 19 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 54,3%.

- 2024 წელს (11 თვე) აღებული იქნა კარაქის 33 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 22 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 66,6%.

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

- ა) ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა - 150 ნიმუში;
- ბ) სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა - 30 ნიმუში;
- გ) ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა - 200 ნიმუში;
- დ) გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა - 75 ნიმუში;
- ე) რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა - 300 ნიმუში;
- ვ) რძესა და რძის ნაწარმში ტენიანობის განსაზღვრა (კარაქი) - 20 ნიმუში;
- ზ) რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის განსაზღვრა (კარაქი) - 20 ნიმუში.

VI. ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლის და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

1. წარმოებული სურსათის შესახებ ინფორმაცია აღებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული მონაცემებიდან.

1.1. მსხვილფეხა საქონელი: მსხვილფეხა საქონლის მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,4%-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,25%, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა.ა) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. გამოწვევის სახით, დასაშვებია 25% ნიმუშებისა, „ა“ ჯგუფის (5) ნივთიერების (სუბსტანციის) გამოკვლევისათვის, განხორციელდეს ცხოველის საკვებში, წყალსა და სხვა მასალებში;

ა.ბ) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს სასაკლაოზე;

ა.გ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,15%, რომელთაგან:

ბ.ა) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) დანარჩენი 30% – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.1.1. სააგენტოში არსებული 2024 წლის 11 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 156 020 სული მსხვილფეხა საქონელი.

აღნიშნული მონაცემის გათვალისწინებით 2024 წელს სავარაუდოდ დაიკვლება 169 021.6 სული მსხვილფეხა საქონელი.

1.1.2. 2025 წელს მსხვილფეხა საქონლიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა **676** ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 423 ნიმუში, მ.შ. 211 ნიმუში - ცოცხალი ცხოველებიდან და 212 ნიმუში - სურსათი (ხორცი).

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 254 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 76 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 76 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 26 ნიმუში და დანარჩენი 76 ნიმუში უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.1.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს მსხვილფეხა საქონლის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 465 ერთეული.

1.2. ღორი - ღორების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,02 %;

ა.ა) იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშების აღება ხდება სასაკლაოზე, აუცილებელია დამატებით, ფერმის დონეზე, ანალიზი ჩატარდეს:

ა.ა.ა) ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალს;

ა.ა.ბ) ცხოველის საკვებს;

ა.ა.გ) ექსკრემენტებს.

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში და ნაშთი განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,03%, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად

1.2.1. სააგენტოში არსებული 2024 წლის 11 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 256 465,5 სული ღორი. აღნიშნული მონაცემით 2024 წლის ბოლომდე სავარაუდოდ დაიკვლება 277 837 სული ღორი.

1.2.2. 2025 წელს ღორიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 139 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 56 ნიმუში, მ.შ. 25 ნიმუში - ცოცხალი ცხოველებიდან და 31 ნიმუში - სურსათი.

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 83 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 25 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 25 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 8 ნიმუში და დანარჩენი 25 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.2.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს ღორის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 114 ერთეული.

1.3. ცხვარი და თხა - ცხვრებისა და თხების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ - 0,01 %, რომელთაგან:

ა.ა) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ა.ბ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

ბ) ჯგუფი „ბ“ - 0,04 %, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % - უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.3.1. სააგენტოში არსებული 2024 წლის 11 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 49 779 სული ცხვარი.

აღნიშნული მონაცემით, 2024 წლის ბოლომდე სავარაუდოდ დაიკვლება 53 927 სული ცხვარი.

1.3.2. 2025 წელს წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 27 ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 5 ნიმუში, მ.შ. 3 ნიმუში - ცოცხალი წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან და 2 ნიმუში - სურსათი (ხორცი).

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 23 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 7 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 7 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 2 ნიმუში, დანარჩენი 7 ნიმუში - უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.3.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს ცხვრისა და თხის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 25 ერთეული.

1.4. ფრინველი - თითოეული კატეგორიის ფრინველისათვის (ბროილერი, ამორტიზებული კვერცხმდებელი ქათამი, ინდაური და სხვ.) ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს წლიური პროდუქციის (დაკლული წონა) ყოველ 200 ტონაზე, სულ მცირე, ერთ ნიმუშს და თუ გამოსაკვლევია ფრინველის ცალკეული კატეგორიის წლიური პროდუქცია (დაკლული წონა) აღემატება 5

000 ტონას – სულ მცირე 100 ნიმუშს ნივთიერების (სუბსტანციის) თითოეულ ჯგუფზე. ჯგუფების დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;

ა.ა) ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს;

ა.ბ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად შემოწმებული და გამოკვლეული უნდა იქნეს „ა“ ჯგუფის ნივთიერებებისათვის (სუბსტანციებისათვის) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 5%-ისა;

ა.გ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%, რომელთაგან:

ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

1.4.1. სააგენტოში არსებული 2024 წლის 11 თვის მონაცემებით დაკლული ფრინველის რაოდენობამ შეადგინა 11 047 666 ფრთა (1 ფრთა ფრინველი X 1, 200 კგ - საშუალო ფრინველის წონა).

2024 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება 11 968 138 ფრთა ფრინველი. აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ფრინველის ხორცის რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს 14 361 765.6 კგ ფრინველის ხორცს.

1.4.2. 2025 წელს ფრინველიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 250 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 125 ნიმუში, მ.შ. 25 ნიმუში - ცოცხალი ფრინველიდან და 100 ნიმუში - სურსათი (ფრინველის ხორცი).

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 125 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 38 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 38 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 11 ნიმუში, დანარჩენი 38 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.4.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს ფრინველის ხორცის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 225 ერთეული.

1.5. ბოცვერი - ყოველწლიურად დაკლული ბოცვრებიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 10 ნიმუშს წლიური წარმოების (დაკლული წონა) 300 ტონაზე წარმოების პირველ 3000 ტონაზე, ხოლო ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 30%, მათგან:

- ა.ა) ნიმუშების 70% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ (6) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);
- ა.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ სხვა ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);
- ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%, მათგან:
 - ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);
 - ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);
 - ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);
- ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მონაცემები წარმოებული ბოცვრის ხორცის შესახებ ვერ მოიძებნა.

1.5.1. სააგენტოში არსებული 2024 წლის 11 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 8 433 სული ბოცვერი (1 სული ბოცვერი X 1,200კგ - საშუალო ბოცვრის წონა).

2024 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება, რაც სავარაუდოდ შეადგენს 9 136 სულ ბოცვერს (10 963.2 კგ).

1.5.2. 2025 წელს ბოცვერიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 3 ნიმუში (ბოცვერის ხორცი); მათ შორის: „ა“ (6) ჯგუფზე - 2 ნიმუში, „ა“ ჯგუფის სხვა ნივთიერებებზე - 1 ნიმუში;

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 7 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 2 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 2 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 1 ნიმუში, დანარჩენი 2 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.5.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს ბოცვერიდან ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული.

1.6. რძე - ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა შეადგენს ერთ ნიმუშს ყოველ 15 000 ტონა წლიურად წარმოებულ რძეზე, არანაკლებ 300 ნიმუშისა, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებზე. თითოეული ნიმუში გამოკვლეული უნდა იქნეს სულ მცირე, ოთხ სხვადასხვა ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) – „ა“ ჯგუფიდან მენ პუნქტით განსაზღვრულ, (6), „ბ“ ჯგუფიდან პირველი პუნქტით განსაზღვრულ, (1), „ბ“ ჯგუფიდან (2.ა) და „ბ“ ჯგუფიდან (2.ე);

ბ) ნიმუშების 15%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენებზე;

გ) ნაშთი 15% უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად

1.6.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2024 წლის 3 კვარტლის განმავლობაში მიღებული იქნა 468, 2 ტონა რძე.

1.6.2. ამდენად, 2025 წელს რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 300 ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 170 ნიმუში: მათ შორის: „ა“ (6) ჯგუფზე 170 ნიმუში;

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 130 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 20 ნიმუში, "ბ" (2.ა.) ჯგუფზე - 10 ნიმუში და "ბ" (2.ე.) ჯგუფზე - 10 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე 45 ნიმუში, დანარჩენი 45 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.6.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 300 ერთეული.

1.7. ფრინველის კვერცხი - ყოველწლიურად კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობა ყოველ 1000 ტონა მოხმარებისთვის განკუთვნილ წარმოებულ კვერცხზე შეადგენს 1 ნიმუშს, მაგრამ არანაკლებ 200 ნიმუშისა. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

- ნიმუშების არანაკლებ 30%-ისა აღებულ უნდა იქნეს იმ შესაფუთი საწარმოდან, რომელიც ბაზარზე ადამიანის მოხმარებისათვის ყველაზე მეტი რაოდენობით კვერცხს განათავსებს. მათგან:

ა) ნიმუშების 70% ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ა“ (6), ჯგუფი „ბ“ (1) და ჯგუფი „ბ“ (2. ბ), სულ მცირე, ერთ ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) მაინც;

ბ) ნიმუშების 30% ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.7.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანაში წარმოებული ქათმის კვერცხის რაოდენობა 2024 წლის სამი კვარტლის მდგომარეობით და იგი შეადგენს 484, 3 მილიონ ცალს (19 372 ტონა კვერცხი. კვერცხის საშუალო წონად აღებული იქნა 40 გრამი).

1.7.2. 2025 წელს ფრინველის კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 100 ნიმუში: მათ შორის: „ა“ (6) ჯგუფზე 100 ნიმუში;

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 40 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 20 ნიმუში, "ბ" (2.ბ.) ჯგუფზე - 20 ნიმუში, დანარჩენი 60 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.7.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული.

1.8. 2024 წელს ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლის და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის მიზნით ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა **1 339 ერთეული მათ შორის:**

- მსხვილფეხა საქონლის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **465 ერთეული;**

- ღორის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **114 ერთეული;**

- ცხვრისა და თხის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **25 ერთეული**;
- ფრინველის ხორციდან ასაღები ნიმუშები რაოდენობა - **225 ერთეული**;
- ბოცვერის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **10 ერთეული**;
- რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **300 ერთეული**;
- ფრინველის კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **200 ერთეული**.

VII. თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

1. თაფლი - ყოველწლიურად თაფლისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობა, წლიური წარმოების პირველ 3000 ტონაზე, ყოველ 300 ტონისათვის შეადგენს 10 ნიმუშს. ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

- ა) ჯგუფი „ბ“ (1) და ჯგუფ „ბ“ (2.გ)-ისთვის ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;
- ბ) ჯგუფი „ბ“ (3.ა), ჯგუფ „ბ“ (3.ბ) და ჯგუფი „ბ“ (3.გ)-ისთვის ნიმუშების საერთო რაოდენობის 40%;
- გ) ნაშთი 10% უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად. მათ შორის, მიკოტოქსინების შემცველობაზე გამოკვლევების ჩატარება.

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: 2023 წელს მიღებული იქნა 2 100 ათასი ტონა თაფლი.

3. ამდენად, 2025 წელს თაფლის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 100 ერთეული.

VIII. თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

1. თევზი - ფერმაში წარმოებული თევზისათვის ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა, ყოველი 100 ტონა წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტიდან, შეადგენს არანაკლებ 1 ნიმუშს. გამოსავლენი ნივთიერებები (სუბსტანციები) და საანალიზო ნიმუშები უნდა დაჯგუფდეს ამ ნივთიერებათა (სუბსტანციათა) სავარაუდო გამოყენების მიხედვით. ჯგუფები დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

- ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/3;

ა.ა) ნიმუშების აღება უნდა მოხდეს ფერმის დონეზე თევზის წარმოების/მოშენების ყველა სტადიაზე, მათ შორის, იმ თევზის ჩათვლით, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის ბაზარზე განსათავსებლად;

ა.ბ) ზღვის ფერმებში, ნიმუშის აღების სირთულის გამო თევზის ნაცვლად შესაძლებელია განხორციელდეს ცხოველის საკვების ნიმუშის აღება;

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 2/3, რომლის დროსაც ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს:

ბ.ა) უპირატესად ფერმაში, თევზისგან, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის ბაზარზე განსათავსებლად;

ბ.ბ) ნედლი თევზისგან, გადამამუშავებელ საწარმოში ან საბითუმო ბაზრიდან, იმ პირობით, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს მიკვლევადობა ფერმამდე. ყველა შემთხვევაში, ფერმის დონეზე ნიმუში აიღება რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 10%-დან.

2. საქართველოდან ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით 2019 წლიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცებული „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი“-ს ფარგლებში, დაგეგმილი იქნა თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევების განხორციელება.

3. 2019 – 2022 წლებში საქართველოში შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის არარსებობის გამო, ლაბორატორიული გამოკვლევა განხორციელდა ლატვიის სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და გარემოს ინსტიტუტში „BIOR“-ი. ლაბორატორიული გამოცდის შედეგების თანახმად:

- **2019 წელს** აღებული თევზის 30 ნიმუშიდან ლეუკო მალაქიტის მწვანის, მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერი აღმოჩნდა 21 ნიმუშში (დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი 70,0%);
- **2020 წელს** აღებული თევზის 30 ნიმუშიდან ლეუკო მალაქიტის მწვანის, მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერი აღმოჩნდა 27 ნიმუშში (დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი 90,0%);
- **2021 წელს** აღებული თევზის 30 ნიმუშიდან ლეუკო მალაქიტის მწვანის, მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერი აღმოჩნდა 25 ნიმუშში (დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი 83,3%);
- **2022 წელს** აღებული თევზის 30 ნიმუშიდან ლეუკო მალაქიტის მწვანის, მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერი აღმოჩნდა 27 ნიმუშში (დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი 90,0%).
- **2023 წელს** აღებული თევზის 30 ნიმუშიდან ლეუკო მალაქიტის მწვანის, მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერი აღმოჩნდა 15 ნიმუშში (დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი 50,0%).
- **2024 წელს** განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გამოკვლეული იქნა თევზის 30 ნიმუში, მათ შორის:

- ცისარტყელა კალმახი - 21
- ზუთხი - 3

- თეთრი ამური - 1
- კობრი - 3
- სქელშუბლა - 1

აღებული თევზის 30 ნიმუშიდან ლეუკო მალაქიტის მწვანე, ციპროფლოქსაცინი, ენროფლოქსაცინი და ქლორპირიფოსი აღმოჩნდა 3 ნიმუშში (დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი 10 %).

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანის მასშტაბით წყალსატევებში წარმოებული თევზის რაოდენობა 2023 წლის მდგომარებით და შეადგენს 2 469.5 ტონა თევზს, (ოჯახების მიხედვით) მათ შორის წარმოებლია:

- 1 131,6 ტონა ცისარტყელა კალმახი. 1 131 000,6 კგ/3 700 000 მოსახლ.=0,305 კგ. (305 გრ) 2023 წელს ერთ სულ მოსახლის მიერ მოხმარებულია საშუალოდ 0,305 კგ ცისარტყელა კალმახი;

- 1 042,1 ტონა კობრისებრი (კობრი და სარკისებრი კობრი, თეთრი ამური, თეთრი და ჭრელი სქელშუბლა). 1 042 100 კგ/3 700 000 მოსახლ.=0,281 კგ. (281 გრ) 2023 წელს ერთ სულ მოსახლის მიერ მოხმარებულია საშუალოდ 0,281 კგ კობრისებრი;

- 232 ტონა ზუთხისებრი. 232 000 კგ/3 700 000 მოსახლ.=0,06 კგ. (60 გრ) 2023 წელს ერთ სულ მოსახლის მიერ მოხმარებულია საშუალოდ 0,06 კგ ზუთხისებრი;

ჯამში 2023 წელს ერთ სული მოსახლის მიერ მოხმარებულია საშუალოდ 0,646 კგ (0,305+0,281+0,06კგ) თევზი და შესაბამისად, წელიწადში ერთი სული მოსახლის მიერ მოხმარებული თევზის 0,646 კგ-ის ანუ 646 გრ-ის 10 % სავარაუდოდ არის დაბინძურებული სხვადასხვა სახის აკრძალული ქიმიური ნივთიერებებით..

5. 2025 წელს თევზიდან ასაღები ნიმუშების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა 25 ერთეული.

6. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წელს დაიგეგმა 30 ერთეული თევზის ნიმუშების აღება.

IX. თევზში ტრიფენილმეთანის და საღებავების ნარჩენებისა და მათი მეტაბოლიტების

(მალაქიტის მწვანე, ლეუკომალაქიტის მწვანე, კრისტალური იისფერი, ლეუკო კრისტალური იისფერი და ბრილიანტის მწვანე) განსაზღვრა

2023 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას მიენიჭა თევზში ტრიფენილმეთანის და საღებავების ნარჩენებისა და მათი მეტაბოლიტების (მალაქიტის მწვანე, ლეუკომალაქიტის მწვანე, კრისტალური იისფერი, ლეუკო კრისტალური იისფერის და ბრილიანტის მწვანე) კვლევის აკრედიტაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის

გაძლიერების და ბაზარზე განთავსებული ადგილობრივი წარმოების სასურსათო თევზის უვნებლობის კონტროლის გაძლიერებისათვის 2023 წელს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად დამატებით განხორციელდა ადგილობრივ თევზსაშენ მეურნეობებში წარმოებული ცისარტყელა კალმახის ნიმუშის აღება საცალო ვაჭრობის ობიექტებიდან.

2023 წლის ივნისიდან აღებული თევზის 40 ნიმუშიდან - ლეუკო მალაქიტის მწვანე აღმოჩნდა 33 ნიმუშში, ხოლო ლეუკო კრისტალ იისფერი აღებული 40 ნიმუშიდან აღმოჩნდა 18 ნიმუშში (დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი 82,5%).

2024 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში საქართველოში გამოკვლეული 215 ნიმუშიდან დარღვევა დაფიქსირდა 29 შემთხვევაში (დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი 13,4%). შესაბამისად, წელიწადში ერთი სული მოსახლის მიერ მოხმარებული თევზის 0,305 კგ-ის ანუ 305 გრ-ის 13.4 % სავარაუდოდ არის დაბინძურებული სხვადასხვა სახის აკრძალული ქიმიური ნივთიერებებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წელს დაიგეგმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში ადგილობრივ თევზსაშენ მეურნეობებში წარმოებული სხვადასხვა დასახელების თევზის (ცისარტყელა კალმახი, ზუთხი, კობრი, ამური) 215 ნიმუშის კვლევა.

X. გაუთვალისწინებელი ლაბორატორიული კვლევები

1. სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათისა და სასმელი წყლის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების შესახებ შეტყობინებები, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც პათოგენური, ასევე, პირობით პათოგენური, სანიტარიული მაჩვენებლების და გაფუჭების მიკროორგანიზმებით სურსათის დაბინძურებასთან დაკავშირებულ დარღვევებს. 2020 წლის განმავლობაში სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან შემოსული იქნა ინფორმაცია სურსათისა და სასმელი წყლის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების 24 შემთხვევის შესახებ, 2021 წელს შემოსულია 12 შეტყობინება, 2022 წელს 22 შეტყობინება, 2023 წელს 27 შეტყობინება, ხოლო, 2024 წელს 26 შეტყობინება. **ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებელი - წელიწადში 22,2 შემთხვევა.**

2. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათისა და სასმელი წყლის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების შესახებ შეტყობინებების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ ლაბორატორიული კვლევა ხორციელდება 4 ჯგუფის მიკროორგანიზმის (სანიტარიული-მაჩვენებლები, პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმები, პათოგენური მიკროორგანიზმები, გაფუჭების მიკროორგანიზმები) კონტროლის მიზნით.

3. „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-თ განსაზღვრული ასაღები ნიმუშების რაოდენობის [Salmonella (1 ერთეული X 5 ნიმუში ან 1 ერთეული X 30 ნიმუში - ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი მზა სურსათი), Listeria monocytogenes (1 ერთეული X 5 ნიმუში ან 1 ერთეული X 10 ნიმუში - ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი მზა სურსათი), სტაფილოკოკური ენტეროტოქსინის (1 ერთეული X 5 ნიმუში), კოაგულაზა-დადებითი სტაფილოკოკი (1 ერთეული X 5 ნიმუში) და ჰისტამინი (1 ერთეული X 9 ნიმუში)] გათვალისწინებით, თითოეულ შეტყობინებაზე აღებული იქნება სავარაუდოდ 6 – 7 სურსათის ნიმუში.

ამდენად, „სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობით პათოგენებისა და პათოგენების კვლევა“ ქვეპროგრამის ფარგლებში სათანადო წესით აღებული იქნება სხვადასხვა კატეგორიის სურსათის 155 ნიმუში.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2025 წელს აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სხვადასხვა დასახელების სურსათის სავარაუდოდ 7 159 ნიმუში/სინჯი (დანართი №1.3).

დანართი №1.3

ქვეპროგრამა „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი“ 2025 წელი

№	ლაბორატორიული კვლევის დასახელება	ნიმუშების/ სინჯების სავარაუდო რაოდენობა
1	სურსათში სალმონელას კვლევა	1890
2	სურსათში Listeria monocytogenes-ის კვლევა	215
3	სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	50
4	ჰისტამინი	63
5	ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე	200
6	ყველში კოაგულაზა-დადებითი სტაფილოკოკის (S. aureus) კვლევა	50

7	სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობით პათოგენებისა და პათოგენების კვლევა	155
8	არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	374
9	სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა	378
10	სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	79
11	არაცხოველური წარმოშობის სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრა	123
12	სურსათში პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების კვლევა	222
13	სასმელი წყლის (მათ შორის დაფასოებული) კვლევა	750
14	ცხოველური წარმოშობის სურსათსა და ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა	68
15	სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა	63
16	ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	150
17	ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლისა და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	1339
18	თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	100
19	თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	30
20	თევზში ტრიფენილმეთანის და საღებავების ნარჩენებისა და მათი მეტაბოლიტების (მალაქიტის მწვანე, ლეუკომალაქიტის მწვანე, კრისტალური იისფერი, ლეუკო კრისტალური იისფერი და ბრილიანტის მწვანე) შემცველობის განსაზღვრა	215
21	სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა	30
22	ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა	200

23	გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა	75
24	რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა	300
25	რძესა და რძის ნაწარმში ტენიანობის განსაზღვრა (კარაქი)	20
26	რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის განსაზღვრა (კარაქი)	20
	სულ:	7 159